

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის

2021 წლის ანგარიში

სარჩევი

სამსახურის მიზნები და ამოცანები,
საქმიანობის ძირითადი მიმართულებები *3*

სტატისტიკური მონაცემები *4*

ტიპოლოგია *11*

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა *13*


ნორმატიულ-სამართლებროვი ბაზა *14*

ტრენინგები და სემინარები *15*

სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, როგორც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ორგანო, ფუნქციონირებს 2004 წლიდან და თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენისა და მათი პრევენციის მიზნით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირებისგან იღებს ინფორმაციას საეჭვო და სხვა გარიგებების შესახებ, აანალიზებს მას და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ან/და სხვა პრედიკატიული დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, სხვა ორგანოსგან ან პირისგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცემს ამ ინფორმაციას და მის ხელთ არსებულ სათანადო მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს.

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიზნები და ფუნქციები, მისი სტრუქტურა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის №658 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით”. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სტრუქტურა შემდეგნაირია:



ამჟამად მოქმედი სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №517 ბრძანებით. აღნიშნული აქტის საფუძველზე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 31 საშტატო ერთეული.

სტატისტიკური მონაცემები

„ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად[1], ანგარიშვალდებულ პირებს წარმოადგენენ:

ფინანსური ინსტიტუტები: არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი; არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი; სადაზღვევო ბროკერი, გადაზღვევის ბროკერი; ვალუტის გადამცვლელი პუნქტი; კომერციული ბანკი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; საბროკერო კომპანია; საგადახდო მომსახურების პროვაიდერი; სადაზღვევო ორგანიზაცია; სალიზინგო კომპანია; სესხის გამცემი სუბიექტი; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი; საინვესტიციო ფონდი.

არაფინანსური ინსტიტუტები: ადვოკატი, საადვოკატო ბიურო; ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი; ნოტარიუსი; სერტიფიცირებული ბუღალტერი; იურიდიული პირი, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს და რომლის სახელით მოქმედებს სერტიფიცირებული ბუღალტერი; აუდიტორი, აუდიტორული (აუდიტური) ფირმა; ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური.


„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ანგარიშვალდებული პირები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინონ ანგარიშგება საეჭვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობის შესახებ. საეჭვო გარიგებების გარდა, კანონის მიხედვით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრავს გარიგებათა სახეობებს, რომელთა შესახებ ანგარიშგება ანგარიშვალდებულმა პირმა სამსახურს უნდა წარუდგინოს[2].

[1] „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 3.
[2] „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 25, პუნქტი 2.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წლის მანძილზე სამსახურში შემოსული ინფორმაციის სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:


მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2021წ.	**ანგარიშგების ფორმები**	**ზღვარს ზემოთ**	**საეჭვო**	**ტერორიზმის დაფინანსება**
კომერციული ბანკი	154833	154247	586	13
მიკროსაფინანსოორგანიზაცია	10147	10076	71	8
სადაზღვევოკომპანია	3	0	3	0
საბროკეროკომპანია	99	96	3	0
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	12392	12389	3	0
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	3722	3708	14	0
სესხის გამცემი სუბიექტი	9	0	9	0
ნოტარიუსი	0	0	0	0
ლიტარია და სხვ.მომგ.თამაშის მოწყ.(ორგ.) პირი	3313	3273	40	0
სამორინე	2376	2375	1	0
საჯარორეესტრი	1298	1294	4	0
საბაჟო	6965	6965	0	0
სულ	**195157**	**194423**	**734**	**21**

გრაფიკულად 2021 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგების ფორმების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:




შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციის შედეგად ფინანსური (მათ შორის, კომერციული ბანკებიდან) და არაფინანსური ინსტიტუტებიდან 2021 წელს მიღებული ანგარიშგების რაოდენობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:


საფინანსო სექტორიდან მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2021წ.
154,247
10,076
0
96
12,389
3,708
0
586
71
3
3
3
14
9
150000
120000
90000
60000
30000
0
კომერციული ბანკი
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
სადაზღვევო კომპანია
საბროკერო კომპანია
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი
საგადახდო მომსახურების...
სესხის გამცემი სუბიექტი
საეჭვო
ზღვარს ზემოთ


არასაფინანსო სექტორიდან მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2021წ.
3,273
2,375
1,294
6,965
0
0
40
1
4
0
1000
0
ნოტარიუსი
ლიცენზია და სხვ.მოწმ.თამაშის...
სამორინე
სალარო რეესტრი
სხვა
საეჭვო
ზღვარს ზემოთ


თავის მხრივ, სამსახურში რეგისტრირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2021 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 15 კომერციულ ბანკს, 3 საკრედიტო კავშირს, 50 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 20 სადაზღვევო ორგანიზაციასა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს და 11 საბროკერო კომპანიას, 11 სადაზღვევო ბროკერს, გადაზღვევის ბროკერი 1, 4 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, 842 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, 13 სალიზინგო კომპანიას, 43 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს და 136 სესხის გამცემ სუბიექტს.

საფინანსო სექტორი, 2021



კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც საქართველოს არასაფინანსო სექტორს წარმოადგენენ და აღრიცხვაზე არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, 2021 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 342 ნოტარიუსს, 374 ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწყობ პირს, 406 აუდიტორულ კომპანიას, 31 სამორინეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, შემოსავლების სამსახურს (საბაჟო ორგანო) და 1 ადვოკატს და 4 საადვოკატო ბიუროს.

არასაფინანსო სექტორი, 2021




2021 წელს მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გადასცა 84 საქმე (მათ შორის, 10 საქმე ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების სავარაუდო შემთხვევაზე, ხოლო 1 საქმე ერთ-ერთი ქვეყნის მიმართ დაწესებული სანქციების შესაძლო გვერდის ავლის მცდელობაზე). აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც 2020 წელს, წინა წლებთან შედარებით სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისა და შემოსავლების სამსახურისთვის 2021 წლის მანძილზე გაგზავნილი საქმეების რაოდენობის შემცირება განპირობებულია Covid-19 ვირუსის გლობალური პანდემიით, რამაც უარყოფითად იმოქმედა საქართველოს და პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპზე და, შესაბამისად, ამ პერიოდში განხორციელებული ტრანზაქციების კლება განაპირობა.

გრაფიკულად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისა და შემოსავლების სამსახურისთვის 2017-2021


წლების მანძილზე გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის დინამიკა



აღსანიშნავია, რომ „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენისას, მიუხედავად გარიგების თანხის ოდენობისა, ანგარიშვალდებულ პირს წერილობით მისცეს მითითება არაუმეტეს 72 საათის განმავლობაში შესაბამისი გარიგების, აგრეთვე ამ გარიგებასთან ან/და ამ გარიგების მონაწილე პირთან დაკავშირებული სხვა გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების შეჩერების შესახებ.[3] 2021 წელს გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება სამსახურის მიერ 9-ჯერ იქნა გამოყენებული. აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

[3] „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 36.



ტიპოლოგია

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, ანგარიშვალდებული პირებისგან გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის, უცხოელი კოლეგებისგან მიღებული და ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ 2021 წლის მანძილზე სამსახურის მიერ გამოვლენილი შემთხვევების დიდი წილი კიბერდანაშაულზე მოდიოდა, რაც გამოიხატა სხვადასხვა გზებით (კომპიუტერულ სისტემებში ან ელექტრონულ ფოსტაში არაავტორიზებული შეღწევა, საბანკო ანგარიშის გატეხვა, საბანკო რეკვიზიტების შეცვლა დოკუმენტაციაში, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაყალბება, მოპარული პლასტიკური ბარათების მონაცემების არაავტორიზებული გამოყენება, ე.წ. “Romance-scam”, ე.წ. “Identity theft”, ე.წ. „Merchant-scam“ და ა.შ.) მოპოვებული თანხების ლეგალიზაციის მცდელობებში, ხოლო დანაშაულებრივი აქტივების გადაადგილებისთვის გამოიყენებოდა ტრადიციული გზები, საბანკო ანგარიშები და სწრაფი ფულადი გზავნილები. ასევე, მსგავსი მიზნებისთვის სხვადასხვა ელექტრონული საფულეებისა გამოყენებაც ხდება.

სოციალური ინჟინერიისა და ყალბი ვებ-გვერდებისა და სოციალური ქსელების გამოყენებით მომხმარებელთა კონფიდენციალური საბანკო მონაცემების დაუფლება საანგარიშო წლის მანძილზე კვლავ გაგრძელდა.

2021 წელსაც, წინა წლების მსგავსად, დანაშაულებრივი მიზნებისათვის გვლავ ხდებოდა საქართველოში დაფუძნებული ისეთი იურიდიული პირების გამოყენება, რომელთა დასახელება საზღვარგარეთ მოქმედი მეტნაკლებად ცნობადი საერთაშორისო კომპანიების იდენტურია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემთხვევების რაოდენობამ კლების ტენდენცია აჩვენა. მსგავსი მეთოდებით ხდება მსხვერპლი უცხოელი მეწარმეების ყურადღების მოდუნება საერთაშორისო გადარიცხვის შესრულებისას.

წინა წლების მსგავსად, 2021 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავებისთვის გადაგზავნილი რიგი საქმეებისა ეხებოდა პირებს, რომელთა ნაწილი იძებნებოდა უცხო ქვეყნის სამართალდამცავების მიერ, ხოლო ზოგიერთი შეყვანილი იყო საერთაშორისო ე.წ. „შავ სიებში“, როგორებიცაა მაგალითად, ინტერპოლის ძებნილთა სია, აშშ-ის ხაზინის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი და ა.შ.

საანგარიშო წლის განმავლობაში კვლავ გაგრძელდა საქართველოში განთავსებული საბანკო ანგარიშების გამოყენება სატრანზიტო მიზნებისთვის, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების მიერ. ანგარიშებზე ხორციელდებოდა ჩარიცხვები და შემდგომი გადარიცხვები მესამე ქვეყნებში, ხოლო მთლიანი ბრუნვა ხშირად რამდენიმე მილიონი ლარის ეკვივალენტს აღწევდა. როგორც წესი, მსგავს ტრანსაქციებს საქართველოსთან ეკონომიკური კავშირი არ აქვს.

2021 წელს ქოლ-ცენტრების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა კვლავ დიდი მოცულობის იყო. მსგავსი კომპანიები იქმნება, ძირითადად საზღვარგარეთ მყოფ პოტენციურ მომხმარებლებთან კონტაქტის დასამყარებლად, რომლებსაც სთავაზობენ სხვადასხვა პროდუქტის შეძენას, ინვესტიციის განხორციელებას, ვალუტების კურსებზე და ბინარულ ოპციონებზე თამაშსა და ა.შ. თაღლითური მიზნისთვის შექმნილი ქოლ-ცენტრის შემთხვევაში მსხვერპლი ან საერთოდ ვერ იღებს წინასწარ შეთანხმებულ მომსახურებას ან იღებს გაცილებით დაბალი ხარისხის სერვისს (ე.წ. „Boiler Room Scam“) ან კარგავს იმ თანხას, რომლითაც ე.წ. ინვესტიცია განახორციელა (ე.წ. „Investment Scam“).

როგორც ვვარაუდობდით, საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა გარკვეული პირების მიერ მომხმარებლისათვის სოციალური ქსელებით გზავნილების გაგზავნისა და რეკლამის განთავსების სახით სერვისების შეთავაზება. მსგავს შემთხვევებში, ანგარიშსწორების შემდეგ, მომხმარებელი მომსახურებას ვერ იღებს, ხოლო გადახდილი თანხას კი კარგავს. ისევე როგორც წინა წელს, ამ ტიპის დანაშაულის ხელშემწყობი პირობები, არ შეცვლილა. პანდემიის გამო დაწესებულმა იძულებითმა შეზღუდვებმა ბიძგი მისცა ონლაინ ვაჭრობის მოცულობის გაფართოებას, თაღლითების მხრიდან გასაწევმა მინიმალური ფინანსურმა დანახარჯებმა და ონლაინ-მომხმარებლების უმრავლესობის არასათანადო სიფრთხილემ კი ნაყოფიერი გარემო შექმნა მსგავსი დანაშაულისთვის. სავარაუდოა, რომ ამ ტიპის დანაშაულის ჩადენის ტენდენცია კვლავ გაგრძელდება.

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა


საანგარიშო წლის მანძილზე, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გააგრძელა თანამშრომლობა საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან.

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის პლენარული სხდომების მუშაობაში ფინანსური მონიტორინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული.

2021 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ აგრეთვე „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (C198-COP) ხელმომწერ მხარეთა მე-13 კონფერენციის მუშაობაში (2021 წლის 17-18 ნოემბერი, სტრასბურგი).

საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ორმხრივი თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან. 2021 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებულ იქნა 90 შეკითხვა, შესაბამისი პასუხი გაეცა ყველა მათგანს. თავის მხრივ, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ უცხოელ კოლეგებთან გაგზავნილ იქნა 79 შეკითხვა, აქედან პასუხი მიღებული იქნა 68 მათგანზე. საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წელს გაეგზავნათ ინფორმაცია ფულის გათეთრების 13 შესაძლო შემთხვევაზე, ხოლო უცხოელი კოლეგებისგან მიღებულ იქნა შეტყობინება 45 ანალოგიური ფაქტის თაობაზე.

მიღებული და გაგზავნილი შეკითხვები 2019–2021წწ.



2021 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან. ანგარიშვალდებული პირების შემოწმების მომზადებასა და ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის სისტემატიური ურთიერთგაცვლა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა

2021 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გაგრძელდა მუშაობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მარეგულირებელ ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაზე, მისი შემდგომი სრულყოფისა და სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების მიმართულებით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, 2021 წლის 30 მარტს, ცვლილება შევიდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც, კანონის 41-42 მუხლები განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბდა, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის მიერ საქართველოს ერთობლივი შეფასების ანგარიშში გათვალისწინებული რეკომენდაციის შესრულების მიზნით.

კერძოდ, გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული ტერორიზმის დაფინანსებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად მოქმედი გაეროს სანქციების კომიტეტის მიერ სანქციადაკისრებულ პირთა სიაში განხორციელებული ცვლილება (პირის სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანა ან ამ სიიდან ამოღება ან პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილება) პირდაპირი მოქმედების ძალას იძენს გაეროს სანქციების კომიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან. შესაბამისად, სანქცირებულ პირებზე დაწესებული შეზღუდვების აღსრულება, საქართველოში დაყოვნების გარეშე იქნება შესაძლებელი.

გარდა კანონისა, ცვლილება შევიდა, „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2020 წლის 5 ივნისის №2 ბრძანებაშიც. ბრძანებაში შესული ცვლილება, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტის მეშვეობით განხორციელებულ მომსახურებაზე, გამარტივებულ წესებს აყალიბებს, კერძოდ, დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტზე თანხის შეტანის კონკრეტული შემთხვევები თავისუფლდება იდენტიფიკაცია ან/და ვერიფიკაციის ვალდებულებისაგან.

ტრენინგები და სემინარები

Covid-19-ის გლობალური პანდემიით გამოწვეული საყოველთაო შეზღუდვების მიუხედავად 2021 წელს გაგრძელდა ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ონლაინ სემინარებისა და ვორკშოპების ორგანიზება.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგსა თუ სემინარში, აგრეთვე, დაესწრნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შესაბამის შეხვედრებს. აღსანიშნავია, რომ გლობალური პანდემიის გამო მსგავსი ღონისძიებების რაოდენობა საგრძნობლად იყო შეზღუდული. კერძოდ, 2021 წელს სამსახურის თანამშრომლები ონლაინ მონაწილეობდნენ:

- 2021 წ. განმავლობაში - ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტი „ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება“.

2021 წ. 27-28 აპრილი - ევროპის საბჭო/პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის პროექტი „საქართველოში კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და აღკვეთის სისტემების გაუმჯობესება“, ტრეინინგი „ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების საქმეების ფინანსური გამოძიება“.

2021 წ. 17-20 მაისი - „გაძლიერებული ტრეინინგი ფულის გათეთრებასა და კრიპტოვალუტებზე“. ორგანიზებულია EU-ACT პროექტის მიერ საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან თანამშრომლობით.

2021 წ. 3-4 ივნისი - ევროპის საბჭო/პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის პროექტი „საქართველოში კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და აღკვეთის სისტემების გაუმჯობესება“, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესაბამისობა ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისათვის.;

2021 წ. 4-5 ოქტომბერი - რეგიონალური შეხვედრა დანაშაულის შემოსავალლის თემაზე. ორგანიზებულია ერთობლივად ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს CyberEast პროექტის მიერ.

2021 წ. 20 დეკემბერი - ევროპის საბჭო/პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის პროექტი „საქართველოში კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და აღკვეთის სისტემების გაუმჯობესება“, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესაბამისობა საბუღალტრო/აუდიტორული სექტორისათვის საქართველოში.